



საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

№3 სამმართველო (წითელი ხიდი)

სატენდერო დოკუმენტაცია

№6 სასაზღვრო სექტორის (სადახლო) შენობის სახურავზე ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ

CPV კოდი – 452

(ბამარტივებული ელექტრონული ტენდერი)

№3 სამმართველო (წითელი ხიდი)

სახელმწიფო შესყიდვების დაფინანსების წყარო

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) შესყიდვების პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან/გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ბეჭდის არარსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის და განმარტებებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: საქართველოს სასაზღვრო პოლიციის N3 სამმართველო (წითელი ხიდი), მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ.ქირაჩ-მულანლო ტელ: 241-30-39.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია:

2.1 შესასრულებელი სამუშაოს დასახელება და სავარაუდო ღირებულება:

ს/პ N3 სამმართველოს (წითელი ხიდი) N6 სასაზღვრო სექტორის (სადახლო) შენობის სახურავზე ჩასატარებელი სამუშაოები ღირებულებით 17000 ლარი.

№	სამუშაოების ჩამონათვალი	განზომ.	რაოდენ	მასალა		ხელფასი		მანქანა და მექანიზმები		ჯამი
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთეული	ჯამი	
1	არსებული ლინოკრომის დემონტაჟი	მ2	410							
2	პარაპეტებზე არსებული ლითონის ფურცლოვანების დემონტაჟი	გრ/მ	76							
3	არსებული ცემენტის მოჭიმვის დემონტაჟი	მ2	240							
4	დაზიანებული ადგილების ლესვა ცემენტის ხსნარით	მ2	110							
5	4 სმ სისქის ცემენტის მოჭიმვის მოწყობა	მ2	240							
6	ორი ფენა ლინოკრომის მოწყობა	მ2	410							
7	პარაპეტების დაფარვა მოთუთიებული თუნუქის ფირფიტით	გრ/მ	76							
8	სამშენებლო ნაგვის გატანა	რეისი	1							
	ჯამი									
	ზეღნადები ხარჯები	%								
	ჯამი									
	გეგმიური დაგროვება	%								
	ჯამი									
	დღგ	18%								
	სულ ჯამი									17000

3. სხვა მოთხოვნები:

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი:

3.1.1 მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარულ დღეში.

3.1.2 მიწოდების ადგილი: N6 სასაზღვრო სექტორი (სადახლო)

3.1.3 საგარანტიო ვადა: მინიმალური 2 წელი

3.2 სატენდერო წინადადების ფასი.

3.2.1 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით;

3.2.2 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

3.3 ანგარიშსწორების პირობები.

3.3.1 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღლო.

3.3.2 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ განიხილება.

3.4 პროტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

3.4.1 ხარჯთაღრიცხვა დანართი №1-ის მიხედვით;

3.4.2 რეკვიზიტები დანართი №2-ის მიხედვით;

4. დამატებითი ინფორმაცია:

4.1 პროტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ----- 2014 წ.

ერთის მხრივ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციის №3 სამმართველო (წითელი ხიდი), მის: მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ.ქირაჩ-მულანლო.

(შემდგომში „შემსყიდველი“)

(შემსყიდველის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორეს მხრივ “-----” მის. -----.

(შემდგომში „მიმწოდებელი“)

(მიმწოდებლის დასახელება და იურიდიული მისამართი)

შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

შემსყიდველმა გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი სასაზღვრო პოლიციის N3 სამმართველოს (წითელი ხიდი) N6 სასაზღვრო სექტორის (სადახლო) შენობის სახურავზე ჩასატარებელი სამუშაოების შესყიდვის შესახებ

(სამუშაოს მოკლე აღწერა)

და მიიღო მიმწოდებლისაგან სატენდერო წინადადება სამუშაოს მიწოდებაზე შემდეგ თანხაზე:

----- (-----) ლარი;

ხელშეკრულების ფაქტური ღირებულებაა: ----- (-----) ლარი;

(მოუთხოვთ ხელშეკრულების თანხა ციფრებითა და სიტყვიერად)

(შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

- ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
- ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და ფასების ცხრილი;
- გ) სამუშაოს მიწოდების ვადა;
- დ) ტექნიკური პირობები;
- ე) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;

3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

5. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრამდე.
ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა რეკვიზიტები.

შემსყიდველი ორგანიზაცია:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება
საქართველოს სასაზღვრო პოლიცია
№3 სამმართველოს (წითელი ხიდი) უფროსი

მომწოდებელი ორგანიზაცია:

„-----“
საბანკო რეკვიზიტები:

ს/ს “-----”
ბანკის კოდი:
ს.კ:
ა/ა:

„-----“-ს
დირექტორი

ხელშეკრულების სავცოფიკური პირობები

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციის №3 სამმართველო (წითელი ხიდი), მის: მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ.ქირაჩ-მულანლო.
(შემდგომში შემსყიდველი)

და მეორეს მხრივ „-----“-ს მის. -----.
(შემდგომში მიმწოდებელი)

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სასაზღვრო პოლიციის №3 სამმართველოს (წითელი ხიდი) №6 სასაზღვრო სექტორის (სადახლო) შენობის სახურავზე

ჩასატარებელი სამუშაოების შესყიდვის შესახებ დანართი №1-ის შესაბამისად, ხელშეკრულების ღირებულებაა: -----(-----) ლარი.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. კონტროლს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით განახორციელებს შემსყიდველის შესაბამისი უფლებამოსილი პირი ან პირები და სასაზღვრო პოლიციის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის წარმომადგენლები, რომლებიც ამოწმებენ ხელშეკრულების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, მათ შორის: ხარისხს, შესრულებული სამუშაოს შესაბამისობას საქართველოში აღიარებულ სტანდარტებთან;

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

3.3. მიმწოდებლის მიერ გასაწევ, ან უკვე გაწეულ სამუშაოებზე კონტროლი (ინსპექტირება) ხორციელდება სისტემატიურად შემსყიდველის შეხედულებისამებრ;

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი (მომსახურება) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შემდეგ გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შემდეგ დაწუნებული შესყიდვის ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით.

4.4. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული შესყიდვის ობიექტი (მომსახურება) უნდა იყოს მაღალი ხარისხის.

5. ანგარიშსწორება

5.1. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღლო.

5.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

5.3. ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი საქონლის/მომსახურების მიღების და შემსყიდველის მხრიდან სასაქონლო გედნადების/საგადასახადო ანგარიშ ფაქტურის (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში) და მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

6. გარანტია

6.1. მიმწოდებელი მისაწოდებელ მომსახურებაზე იძლევა გარანტიას და იღებს ვალდებულებას გარანტიის მოქმედების პერიოდში განახორციელოს ყოველგვარი ხარვეზის აღმოფხვრა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

7. ფასები

7.1. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასის გაზრდა დაუშვებელია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ზემოთ აღნიშნული შესყიდვის ობიექტი (მომსახურება) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.2. მიმწოდებლის მიერ ანაზღაურებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაში უნდა იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტთან მიმართებაში.

8.3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

8.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.5 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მომწოდებელს საურავი ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

8.6 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ის ოდენობით.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1 მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ხელშეკრულების განხორციელების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი სადაო საკითხების გადაწყვეტა მოხდება სასამართლოს გზით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 თუ მიმწოდებელი არ არის საქართველოს რეზიდენტი, ხელშეკრულების განხორციელების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი სადაო საკითხების განხილვა განხორციელდება საარბიტრაჟო გარჩევის გზით, საერთაშორისო სავაჭრო სამართლის შესახებ გაეროს საარბიტრაჟო კომისიის წესების შესაბამისად.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა.

შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, ემიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

შემსყიდველი ხელშეკრულების სრული ან ცალკეული შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მიმწოდებელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

11. დამატებითი პირობები

11.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

11.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

11.3. მხარეები ვალდებული არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

11.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ მოხდა საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

11.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

11.6 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ოთხ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება „შემსყიდველთან“ და „მიმწოდებელთან“.

11.7. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულყოფილიანი წარმომადგენლის მიერ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება
საქართველოს სასაზღვრო პოლიცია
№3 სამმართველოს (წითელი ხიდი) უფროსი

„_____“ –ს

ღირექტორი

დანართი №1

შესასრულებელი სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა

პრეტენდენტის დასახელება -----

ს/პ N3 სამმართველოს (წითელი ხიდი) N6 ს/სექტორის (სადახლო) შენობის სახურავზე ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ

№	სამუშაოების ჩამონათვალი	განზომ.	რაოდენ	მასალა		ხელფასი		მანქანა და მექანიზმები		ჯამი	სამუშაოს შესრულების ვადა	სამუშაოს შესრულების ადგილი
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთეული	ჯამი			
1	არსებული ლინოკრომის დემონტაჟი	მ2	410								ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე	N6 სასაზღვრო სექტორი (სადახლო)
2	პარაპეტებზე არსებული ლითონის ფურცლოვანების დემონტაჟი	გრ/მ	76									
3	არსებული ცემენტის მოჭიმვის დემონტაჟი	მ2	240									
4	დაზიანებული ადგილების ლესვა ცემენტის ხსნარით	მ2	110									
5	4 სმ სისქის ცემენტის მოჭიმვის მოწყობა	მ2	240									
6	ორი ფენა ლინოკრომის მოწყობა	მ2	410									

7	პარაპეტების დაფარვა მოთუთიებული თუნუქის ფირფიტით	გრ/მ	76								
8	სამშენებლო ნაგვის გატანა	რეისი	1								
	ჯამი										
	ზეღნადები ხარჯები	%									
	ჯამი										
	გეგმიური დაგროვება	%									
	ჯამი										
	დღგ	18%									
	სულ ჯამი										

ლარი

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი -----

„დანართი №2“

1. პრეტენდენტის იურიდიული ფირმის დასახელება;

ხელმძღვანელის სახელი და გვარი;

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი;

საიდენტიფიკაციო კოდი;

ბანკის კოდი;

ანგარიშის ნომერი;

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი;

ელექტრონული მისამართი;

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი

